სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272 401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

განხილული და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ
ოქმი N 20 03.11.2025

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /მანანა ღარიბაშვილი/

შინაარსი

ზოგადი დებულებები, ტერმინთა განმარტება ---------- 3

ვიდეომონიტორინგის ფორმა ---------- 4

ვიდეომონიტორინგის მიზანი და მოცულობა ---------- 4

ტექნიკური მახასიათებლები ---------- 5

უსაფრთხოების ზომები ---------- 5

შენახვის ვადა, პირობები და განადგურების წესი, მონაცემთა

სუბიექტის უფლებები ---------- 6

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ვიდეო მონიტორინგის განხორციელების წესის (შემდგომში - წესი) მიზანია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი"), როგორც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ვიდეომონიტორინგის (შემდგომში - „ვიდეომონიტორინგი") განხორციელების პროცესში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დაცვის უზრუნველსაყოფად, ვიდეომონიტორინგის მიზნის და მოცულობის, ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობის, ვიდეო ჩანაწერზე წვდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესის და პირობების, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმების განსაზღვრის გამჭირვალე პროცედურების დადგენა.
2. ეს წესი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით, ადგენს ვიდეომონიტორინგის, განხორციელების პროცედურულ ნორმებს, თითოეული მათგანის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **პერსონალური მონაცემი** (შემდგომ - „მონაცემი") - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

ბ) **მონაცემთა სუბიექტი** - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

გ) **მონაცემთა დამუშავება** - მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

დ) **დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი** - ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე

უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

ე) **ვიდეომონიტორინგი** – საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური სამუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა);

ვ) **ინციდენტი** – მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას;

მუხლი 3. ვიდეომონიტორინგის ფორმა

1. უნივერსიტეტი ახორციელებს ვიდეომონიტორინგს (აუდიომონიტორინგის ელემენტების გარეშე) შემდეგი ფორმით:
   ა) უნივერსიტეტის შენობის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგი;
   ბ) უნივერსიტეტის საგამოცდო სივრცეების ვიდეომონიტორინგი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ვიდეომონიტორინგი ხორციელდება უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირების მიერ. გამოცდის დაწყებამდე სტუდენტს ეცნობება, რომ გამოცდის მიმდინარეობა იწერება, კონკრეტული მიზნით და განემარტება შედეგები.
3. უნივერსიტეტს თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული აქვს ვიდეომონიტორინგის განხორციელების გამაფრთხილებელი ნიშნები.
4. უნივერსიტეტის ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომის უფლებამოსილება აქვს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლებს.
5. ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის სამსახურიდან წასვლის ან/და მივლინების ან/და შვებულების დროს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება გააჩნია უფლებამონაცვლე პირ(ებ)ს, რომლებზეც გადადის იგივე უფლება-მოვალეობები.
6. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით, მოითხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტი ვიდეო ჩანაწერს გადასცემს შესაბამის უწყებებს, მხოლოდ მოსამართლის განჩინების ან/და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურატურის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 4. ვიდეომონიტორინგის მიზანი და მოცულობა

1. უნივერსიტეტის მიერ ვიდეომონიტორინგი ხორციელდება პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საკუთრების დაცვის, საგამოცდო პროცესის დაკვირვებისათვის, სამუშაზე აღრიცხვის მონიტორინგის მიზნით.
2. უნივერსიტეტის მიერ ვიდეომონიტორინგის შედეგად მონაცემების დამუშავება ხორციელდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.
3. იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტის მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების

პროცესში ადგილი ექნება იმგვარი მონაცემების დამუშავებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიზანთან, უნივერსიტეტი არ ახდენს აღნიშნული მონაცემების სხვა მიზნით გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

4. თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვა ხორციელდება ბარათის სისტემის გამოყენებით. აღრიცხვის სიზუსტისა და ბარათის არასწორად გამოყენების პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტი ახორციელებს ვიდეომონიტორინგს მხოლოდ შესასვლელებისა და გასასვლელების ზონებში. ვიდეომონიტორინგის მიზანი შემოიფარგლება აღნიშნული ფუნქციის შესრულებით.

მუხლი 5. ტექნიკური მახასიათებლები

1. უნივერსიტეტის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეოკამერები განთავსებულია: კორპუსის შემოსასვლელებში და დერეფნებში, შენობის გარე პერიმეტრზე, კომპიუტერულ ცენტრებში, ბიბლიოთეკაში, სპორტდარბაზში, სათბურებში, მარანში, ლიფტში, სააქტო დარბაზებში, ლაბორატორიებში.
2. ვიდეოკამერები არ არის განთავსებული თანამშრომელთა ოთახებში ან ისეთ ადგილას რომ ჩანდეს ოთახის შიდა სივრცე, ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ან ისეთ სივრცეში, სადაც სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს. ვიდეოკამერები, რომლის არეალშიც ხვდება დასაქმებული პირის სამუშაო სივრცე, გაფრთხილებულია წერილობით.
3. შენობის როგორც გარე, ასევე, შიდა პერიმეტრზე, მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების მიზნით, განთავსებულია თვალსაჩინო გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ „მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი", წარწერა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირზე და მის საკონტაქტო ინფორმაციაზე.
4. შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების მეშვეობით ჩაწერა მიმდინარეობს მოძრაობის დეტექციის რეჟიმით.
5. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ვიდეოჩანაწერებზე წვდომის თითოეული შემთხვევის აღრიცხვას.

მუხლი 6. უსაფრთხოების ზომები

1. უნივერსიტეტის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებთან წვდომა ხდება როგორც რეალურ დროში, ასევე, შესაძლებელია ვიდეოკამერის ჩანაწერის ნახვა, გადახვევა და სხვა მოწყობილობაზე ჩაწერა. უნივერსიტეტის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერები დაკავშირებულია უნივერსიტეტის შიდა კომპიუტერებთან და დაცვის თანამშრომლების მოწყობილობასთან. ვიდეოჩანაწერზე წვდომა აქვთ:

   ა) დაცვის თანამშრომლებს - მხოლოდ მიმდინარე რეჟიმში, რომელიც ახორციელებს

როგორც შიდა, ასევე, გარე პერიმეტრის და პერიმეტრზე არსებული შენობა-ნაგებობების კონტროლს. დაცვის ოთახში განთავსებულია მონიტორები, რომელიც იკეტება გასაღებით და წვდომა აქვს მხოლოდ დაცვის თანამშრომლებს. ოთახი დაცულია 24 საათის განმავლობაში და დაუშვებელია უცხო პირთა დაშვება.

ბ) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, რომელიც ახდენს ჩანაწერის შენახვა-დამუშავებას. იგი უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელების კომპიუტერის დაშვებას ვიდეო კამერების ქსელთან, სადაც მიმდინარეობს რეალურ დროში მეთვალყურეობა.

გ) სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფლებამოსილ პირს (ბრძანების საფუძველზე) - მხოლოდ გამოცდის და ტესტირების პერიოდში.

2. ვიდეოჩანაწერებზე წვდომა აქვს მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს, რომელიც ამ უფლებამოსილებას იყენებს მხოლოდ ტექნიკური და უსაფრთხოების მიზნებისთვის, ისე რომ არ მოხდეს პირადი მონაცემების არამართლზომიერი გამოყენება.
3. უნივერსიტეტის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები ინახება ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის სერვერების ოთახში. ოთახი არის ჩაკეტილი და ოთახში შესვლის უფლება აქვს მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფლებამოსილ პირს.
4. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების ადმინისტრირებას ახდენს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი და თავად უზრუნველყოფს არაიერიფიცირებული წვდომის ან ინციდენტის გამოვლენის მონიტორინგს. ინციდენტის დაფიქსირების შემთხვევაში, ვალდებულია, დაუყონებლივ, მაგრამ, არაუგვიანეს 24 საათისა, შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

მუხლი 7. ვიდეო ჩანაწერის შენახვის ვადა, პირობები და განადგურების წესი

1. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერის მოცულობა არის, არაუმეტეს 45 დღე და დამოკიდებულია ვიდეოს ჩამწერის (NVR) მოცულობაზე. ვიდეოკამერის მოცულობის ამოწურვის შემდეგ, ახალი ჩანაწერის გაკეთება ხდება ძველზე გადაწერის გზით - რაც იწვევს ძველი ჩანაწერების ავტომატურ წაშლას. იმ შემთხვევაში, თუ ჩანაწერი ამოღებულია მისი განადგურება ხდება იმ პირის მიერ, ვის მიერაც ამოღებულ იქნა ჩანაწერი, იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რისთვისაც მოხდა მისი ამოღება.

მუხლი 8. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის III თავით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.
2. ვიდეომონიტორინგის პროცესში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.
3. ვიდეო მონიტორინგის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე დავის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კანონმდებლობით

დადგენილი წესით, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს.

წარმომადგენლობითი საბჭოს

თავმჯდომარე /პროფ. მ. ღარიბაშვილი/